

# შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს ავტოგასამართ სადგურებსა და ნავთობბაზაში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მომსახურებაზე

## ტენდერის პირობები

### თავი I. ზოგადი მიმოხილვა

- **მომსახურების ობიექტი** - შპს „ლუკოილ ჯორჯია“ -ს საკუთრებაში არსებული 21 და იჯარით სარგებლობაში არსებული 20 ავტოგასამართი სადგური და 1 ნავთობბაზა.
- **მომსახურების მიზანი**
  - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2011 წლის 21 დეკემბრის #1-1/2684 ბრძანების შესრულების მიზნით, მომსახურება ითვალისწინებს უკვე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკურ მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში ვიდეომეთვალყურეობის სისტემების გამოცვლას და/ან მონტაჟს (დამატებითი ღირებულების საჭიროების შემთხვევაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე);
  - თბილისის ტერიტორიაზე მდებარე გასამართი სადგურების გეგმიურ მონიტორინგს - მინიმუმ კვირაში ერთხელ, ხოლო რეგიონებში მდებარე გასამართი სადგურების გეგმიურ მონიტორინგს - მინიმუმ თვეში ორჯერ.
  - 24 საათიანი კომუნიკაციით ავტოგასამართ სადგურებთან სისტემის მუდმივი გამართულობის უზრუნველყოფას და მყისიერ რეაგირებას ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა იმ მოთხოვნის უზრუნველყოფას რაც გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2011 წლის 21 დეკემბრის #1-1/2684 ბრძანებით.
  - შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ.გვერდზე ორგანიზაციის პირადი გვერდის მართვა, მონიტორინგი და შსს მიერ ორგანიზაციის პირად გვერდზე მითითებულ შენიშვნებზე პასუხისმგებლობა.
  - აღნიშნული მომსახურების არაჯეროვანი შესრულებისას, შსს შესაბამისი სამსახურების მიერ საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით პასუხისმგებლობის გაზიარებას.
- **მომსახურების დაწყების თარიღი** - 2018 წლის 15 ნოემბერი.
- **ხელშეკრულების ვადა** - 2 წელი.

*შენიშვნა: პრეტენდენტს სატენდერო წინადადების წარდგენამდე შეუძლია ობიექტების დათვალიერება. სამუშაოს წარმოებისას პრეტენდენტის მხრიდან დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა, რაც ცალსახად წარმოადგენს პრეტენდენტის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას.*

ავტოგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზის მისამართები სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურება:

საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურები:

1. მტკვრის მარჯვენა სანაპირო გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია აგს №1
2. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (თბილისის შემოსასვლელში) აგს №2
3. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთიან“, აგს №3
4. დ. აღმაშენებლის ხეივანისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა აგს №4
5. კახეთის გზატკეცილის მარცხენა მხარე, ორხევის ხიდთან აგს №5
6. გმირთა მოედნის მიმდებარედ, საცურაო აუზის „ლაგუნა ვერეს“ წინ. აგს №6

7. მდ.მტკვრის მარცხენა სანაპირო, “ვახუშტის ხიდის” მიმდებარედ აგს №7
8. თამარაშვილის ქუჩა, აღ. ყაზბეგის გამზირის გადაკვეთამდე აგს №8
9. გელოვანის გამზირზე, ვაშლიჯვრის ტერიტორია აგს №9
10. გლდანი, დიდომის შემაერთებელ გზაზე, სარაჯიშვილის ქუჩასთან ხიდითან აგს №10
11. გურამიშვილის გამზ. ს/ს „ცისარტყელა“-ს მოპირდაპირე მხარეს აგს №11
12. ა.წერეთლის გამზირზე, სამთოქიმიის მოპირდაპირედ აგს №12
13. ა.წერეთლის გამზირზე, სამთოქიმიის მიმდებარედ აგს №13
14. კახეთის გზატკეცილი მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდებარედ აგს №15
15. ორთაჭალკესთან №72-ე სკოლის მიმდებარედ აგს №16
16. წურწუშისა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარედ; აგს №17
17. ჯავახეთის, კალოუზნის და შუამთის ქუჩებს შორის; (ვარკეთილი) აგს №18
18. დ. აღმაშენებლის მე-13 კილომეტრი; (თბილისის გასასვლელში) აგს №19
19. ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 25ა, პარიზის კომუნა №1 აგს №21
20. ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. 1კ, აგს №22
21. ქ. ბათუმი, სოფელი ანგისა აგს №23
22. მცხეთის რ-ნი სოფ. ძეგვი – ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა

**იჯარით სარგებლობაში არსებული ავტოგასამართი სადგურები:**

1. ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი №2
2. ქ. ხაშური ბორჯომის ქ. 191
3. ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი,
4. ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის 21
5. ნინოწმინდა, თავისუფლების 1
6. ქ. ჭიათურა, მღვიმევის 4ბ
7. ზესტაფონი, აღმაშენებლის 10
8. ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. №27
9. ქ. ქუთაისი, დ. ასათიანის 98
10. ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ჩიხი 1, №2
11. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი
12. ამბროლაური, ვ. ფშაველას 18
13. ხონი, ჭანტურიას 153
14. ქ. ონი, ვახტანგ VI-ის ქ.
15. წყალტუბოს რ.ნი, სოფ. ქვიტირი
16. სოფ. ოკამი
17. სოფ. მისაქციელი
18. ქობულეთი, მ. აბაშიძის №14
19. გურჯაანი, სოფ. ჩუმლაყი
20. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის 185

**თავი II. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

**1. ზოგადი ნაწილი**

**1. კომპანიის (პრეტენდენტის) რეკვიზიტები:**

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ., ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ

## 2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის არარსებობის თაობაზე;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ - ანალოგიური სამუშაოების წარმოების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება (დამადასტურებელი დოკუმენტი: ხელშეკრულება შესაბამისი მიღება-ჩაბარებით); პრეტენდენტს ბოლო სამი წლის მანძილზე შესრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 300 000 ლარის ანალოგიური სამუშაოები (დამადასტურებელი დოკუმენტი: ხელშეკრულება შესაბამისი მიღება-ჩაბარებით).
- ლიცენზია-პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საქართველოს კანონის "კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" შესაბამისად დაცვითი საქმიანობის განხორციელების უფლება (დამადასტურებელი დოკუმენტი: საქართველოს კანონის "კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" მე-4 მუხლის შესაბამისად ადამიანის, უძრავი ან მოძრავი ნივთის, ცალკეული ღონისძიების დაცვის, დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟისა და ექსპლოატაციის განხორციელებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული, უვადო ლიცენზია).
- რეკომენდაცია - მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი

## 3. კომერციული წინადადება

- კომერციული წინადადება უნდა შეიცავდეს მომსახურების ღირებულებას ლარში დღგ-ს გარეშე.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი თანხა უნდა მოიცავდეს ვიდეომეთვალყურეობის სიტემების მიმდინარე შეკეთებისათვის გათვალისწინებული თანხის ღირებულებას თვეში არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, რომელზეც პრეტენდენტი შემსყიდველს არ წარუდგენს დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნას.

## 4. ტექნიკური წინადადება

- განსახორციელებელი სამუშაოების ქრონოლოგიის აღწერა (ვადების მითითებით).

## სატენდერო პროცედურები

### 1. ტენდერის ჩატარება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.

- 1.1 ტენდერის ჩატარების თარიღი - **2018 წლის 08 ნოემბერი 15:00 სთ.**
- 1.2 ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
- 1.3 ტენდერში მონაწილეებმა **2018 წლის 05 ნოემბრის 12:00 -მდე** დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება თანმხლებ წერილთან (**დანართი 1**) ერთად. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
- 1.4 მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ოფისი.

- 1.5 ტენდერში მონაწილეობას ღებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
- 1.6 კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გაიმართება ვაჭრობა.

### **განსაკუთრებული პირობები**

1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სატენდერო კომიტეტის მოთხოვნას.
2. ხელშეკრულება გამარჯვებულთან გაფორმდება ღია ვაჭრობის დასრულებიდან და სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი იქნება დისკვალიფიცირებული.
4. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
6. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
7. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

შავლეგ მიშველაძე

მობ : 599 711 177